	<p>ტენდენციების, ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებისა თუ ფორმების შესახებ, გამომუშავებული ექნებათ მულტიმედიაურნალისტებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ამავდროულად, აღჭურვილნი იქნებიან მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი თეორიების, ინოვაციური ფორმებისა თუ მეთოდების სიღრმისეული ცოდნით.</p> <p>პროგრამის მიზანია მოამზადოს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოში თანამედროვე მედიაინდუსტრიისა და კომუნიკაციის სფეროს შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც აქვს ღრმა და სისტემური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში, სოციალური მედიის სტრატეგიებისა და PR-ის მიმართულებით; 2) კურსდამთავრებული, რომელიც ფლობს ციფრული მედია ინდუსტრიისა და ციფრული კომუნიკაციის სფეროსთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს: ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებსა თუ ფორმებს; სხვადასხვა პლატფორმების მომზადებისა და მულტიმედია მასალების შექმნის უნარს; სტრატეგიული ციფრული კომუნიკაციის უნარს; კვლევის წარმოებისა და სოციალური მედიის ანალიტიკის უნარს; მონაცემთა დამუშავებისა და მათი ვიზუალიზაციის უნარს; სოციალური მედიასტრატეგიების დაგეგმვისა და PR კამპანიების ჩატარების უნარს; 3) კურსდამთავრებული, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გააგრძელებს სწავლას, სწრაფად ცვალებადი ციფრული მედიაინდუსტრიისა და სტრატეგიული ციფრული კომუნიკაციის სფეროს საჭიროებიდან გამომდინარე – აქტუალური ცოდნის მიღებას, მის დახვეწა-განახლებას და ახალი ტექნოლოგიების დაუფლებას. ასევე, მოამზადოს მაგისტრანტი აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ციფრული მედიის, ასევე მასობრივი კომუნიკაციის ან მედიაკვლევების მიმართულებით
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1.კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა მასობრივი კომუნიკაციის თეორიების, კონცეფციებისა თუ მეთოდების, ციფრული მედიის განვითარების ტენდენციების, ციფრული მედიასამართლისა და ციფრული მედიაეთიკის შესახებ; 2.კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ციფრული მედიისა და ვიზუალური ამბის თხრობის ხერხებისა თუ ფორმების შესახებ;

		<p>3.კურსდამთავრებული აცნობიერებს ციფრული მედიაპლატფორმების მუშაობის სპეციფიკას; სტრატეგიული კომუნიკაციის როლს; სოციალური მედია ანალიტიკის ინოვაციურ ხერხებსა და ციფრული მედიაპროდუქციის აუდიტორიაში გავრცელების ფორმებს;</p> <p>4.კურსდამთავრებული კრიტიკულად იაზრებს და ეძიებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ გზებს; იცის, როგორ შექმნას ორიგინალური ახალი პროექტები და ინოვაციური პროდუქტები; როგორ დაგეგმოს და მართოს სოციალური მედიის სტრატეგიები და კამპანიები.</p>
	<p>უნარი:</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>5.მოიძიოს და დაამუშაოს ინფორმაცია, შექმნას კონტენტი; გამომუშავებული აქვს წერის უნარი; ფლობს ციფრული ამბის თხრობისთვის საჭირო ხერხებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს (ტექსტი, ფოტო, აუდიო, ვიდეო თუ ვევი); დაგეგმოს და მართოს სოციალური მედიის სტრატეგიები და კამპანიები;</p> <p>6.მოამზადოს და გაავრცელოს მულტიმედია პროდუქცია სხვადასხვა ციფრული პლატფორმებისა და აუდიტორიისთვის;</p> <p>7.დაამუშაოს და გაანალიზოს მონაცემები; წარმოადგინოს ისინი ვიზუალური ხერხებით;</p> <p>8.კრიტიკულად გაანალიზოს რთული ან არასრული ინფორმაცია; იყენებს კვლევებისთვის შესაბამის მეთოდოლოგიას; ატარებს სოციალური მედიის ანალიზსა და მონიტორინგს; აყალიბებს დასკვნებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტების დაცვით.</p>

		<p>9. განახორციელოს ეფექტური კომუნიკაცია, როგორც კოლეგებთან, ისევე აუდიტორიასთან, მრავალფეროვან მედიაპლატფორმებზე და სოციალურ მედიაში.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>10. გამომუშავებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ციფრული მედიაინდუსტრიისა და ციფრული სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროს საჭიროებებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა.</p> <p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

	<p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 50%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>სამაგისტრო პროგრამა მოამზადებს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე მედიისა და კომუნიკაციის გამოწვევებს.</p> <p>კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმება, როგორც ონლაინმედიაში, ასევე ტრადიციულ მედიაორგანიზაციებში (ტელევიზია, გაზეთი, ჟურნალი, საინფორმაციო სააგენტო); საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, მულტიმედიაჟურნალისტებად, პროდიუსერებად, სოციალური მედიის მენეჯერებად და ა.შ;</p> <p>რამდენადაც, პროგრამა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გარდა, ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნასაც იძლევა მედიასა და კომუნიკაციაში, ეს კარგი საფუძველია მომავალი პედაგოგიური თუ სამეცნიერო საქმიანობისთვისაც. კურსდამთავრებულს სურვილის შემთხვევაში შეეძლება სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზეც.</p>

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება				საათების განაწილება							საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში	
				I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები		
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/	მუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო				
	სავალდებულო სასწავლო კურსები	სავალდებულო	70	25	25	20										
1	შესავალი ციფრულ მედიაში	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	10	x				13	13	2	2	30	220	250	2
2	სოციალური მედიის მენეჯმენტი	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	5	x				13	13	2	2	30	95	125	2
3	ციფრული მედიის დიზაინი	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	5	x				13	13	2	2	30	95	125	2
4	სოციალური მედიის სტრატეგია და PR კამპანიები	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	5	x				13	13	2	2	30	95	125	2
5	ციფრული პროდუქცია: ამბის თხრობის ხერხები	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	8		x			13	13	2	2	30	170	200	2
6	ვებპროგრამირება (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	7		x			13	13	2	2	30	145	175	2
7	მონაცემთა ჟურნალისტიკა	შესავალი ციფრულ მედიაში	სავალდებულო	5			x		13	13	2	2	30	95	125	2
8	სტრატეგიული კომუნიკაცია	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	5		x			13	13	2	2	30	95	125	2

9	მასობრივი კომუნიკაციის თეორიები	შესავალი ციფრულ მედიაში	სავალდებულო	5		x			13	13	2	2	30	95	125	2
10	ციფრული მედიის ეთიკა და სამართალი	შესავალი ციფრულ მედიაში	სავალდებულო	5			x		13	13	2	2	30	95	125	2
11	სოციალური მედიის ანალიტიკა და მონიტორინგი	სოციალური მედიის სტრატეგია და PR კამპანიები; სოციალური მედიის მენეჯმენტი	სავალდებულო	5			x		13	13	2	2	30	95	125	2
12	მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდები	არ აქვს წინაპირობა	სავალდებულო	5			x		13	13	2	2	30	95	125	2
				70												
	არჩევითი სასწავლო კურსები		არჩევითი	20	5	5	10									
14	ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
15	კიბერუსაფრთხოება	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
16	პითონი - შესავალი კურსი (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x		x	x	13	13	2	2	30	95	125	2
17	საქმიანი კომუნიკაცია მედიისთვის (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2

18	სარეკლამო კამპანიების შექმნა ციფრულ მედიაში	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
19	სტატისტიკა და მისი გამოყენება სოციალურ მეცნიერებებში (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
20	მონაცემები და ალგორითმები (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
21	ინტეგრირებული ციფრული მარკეტინგული კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
22	ინტეგრირებული ნიუსრუმი	ციფრული პროდუქცია: ამბის თხრობის ხერხები	არჩევითი	5			x	x	13	13	2	2	30	95	125	2
23	სიღრმისეული ჟურნალისტიკა	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x		13	13	2	2	30	95	125	2
24	კრეატივი PR-ში	არ აქვს წინაპირობა	არჩევითი	5	x	x	x	x	13	13	2	2	30	95	125	2
25	მულტიმედია ახალი ამბები	ციფრული პროდუქცია: ამბის თხრობის ხერხები	არჩევითი	5			x	x	13	13	2	2	30	95	125	2
26	სტაჟირების კრედიტკურსი ციფრულ მედიასა და კომუნიკაციაში <i>შენიშვნა: სავალდებულოა მათთვის, ვინც მედიის ან კომუნიკაციის მიმართულელებით არ მუშაობს</i>	<i>შესავალი ციფრულ მედიაში, სოციალური მედიის მენეჯმენტი, ციფრული მედიის დიზაინი, სოციალური მედიის სტრატეგია და PR კამპანიები, ციფრული</i>	არჩევითი	10			x								250	1

		პროდუქცია: ამბის თბრობის ხერხები, ვებპროგრამირება (ინგლისურ ენაზე), მასობრივი კომუნიკაციის თეორიები; სტრატეგიული კომუნიკაცია													
26	კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირები ს უფლება აქვს სტუდენტს, თუ მას ჩაბარებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული წინა სემესტრებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კომპონენტი.	სავალდებულო	30			30	-	28	1	1	30	720	750	
	სულ			120	30	30	30	30						3000	

სამართალი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სამართლის მაგისტრი/Master of Laws (LLM)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	120 კრედიტი
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებს.</p> <p>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს მაგისტრანტობის ის კანდიდატი, რომელიც გადალახავს საერთო სამაგისტრო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.</p> <p>მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდას ინგლისური ენაში, ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დადასტურების მიზნით და წერით გამოცდას სპეციალობაში, სტუდენტის არჩევანის საფუძველზე, ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით: საჯარო სამართალი, კერძო სამართალი, სისხლის სამართალი.</p> <p>შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შინაარსი, პროცედურა, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები (ტესტის ნიმუშები) და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე პირი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობის წესით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს.</p> <p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაშვებია სწავლის გაგრძელება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს</p>

	<p>მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 521 მუხლის მე-7 და მე-71 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატი თავისუფლდება ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს</p>						
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</p>	<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:</p> <ul style="list-style-type: none"> □ შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა აკადემიური წერის ძირითადი პრინციპების, იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, სამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივების, მოსამართლეთა ქცევის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო ეთიკის წესების, ევროკავშირის სამართლის წყაროების, საქართველოს ნორმატიულ სივრცეში სამართლებრივი დაახლოების ასპექტების, ასევე ეროვნული და უცხოური საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, აქტუალური პრობლემების, განვითარების ტენდენციების, გამოწვევების, ხარვეზებისა და მათი სრულყოფის გზების შესახებ; □ გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებისა და არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, ასევე სამართლებრივი ხარვეზების ამოცნობის უნარი; □ გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და საკუთარი სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი; □ გამოუმუშავოს საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერიტი და ზეპირი ფორმით აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის გაზიარების უნარი; □ გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, ასევე კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა უნარი; □ გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტების, სამართლებრივი ღირებულებების დაცვისა და პრობლემების გადაჭრისას ინოვაციური გზების გამოყენების უნარი. 						
<p>სწავლის შედეგები</p>	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 30%;">ცოდნა</td> <td style="width: 10%;">და</td> <td style="width: 60%;">სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</td> </tr> <tr> <td>გაცნობიერება</td> <td></td> <td></td> </tr> </table>	ცოდნა	და	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:	გაცნობიერება		
ცოდნა	და	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:					
გაცნობიერება							

		<p>1. აღწერს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიური წერის ძირითად პრინციპებს, იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, სამეცნიერო ტექსტების შექმნის პრინციპებს, სამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივებს, მოსამართლეთა ქცევის ძირითად პრინციპებს, სამოსამართლო ეთიკის წესებს, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს, ევროკავშირის სამართლის წყაროებს, საქართველოს ნორმატიულ სივრცეში სამართლებრივი დაახლოების ასპექტებს; • საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მეცნიერების, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის თანამედროვე მიღწევებს, აქტუალურ პრობლემებს, განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს, ხარვეზებს, ასევე მათი სრულყოფის გზებს.
	<p>უნარი</p>	<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>2. განმარტავს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, აფასებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, ამოიცნობს სამართლებრივ ხარვეზებს და შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს;</p> <p>3. აანალიზებს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და ეროვნული კანონმდებლობის ევროპეიზაციის ან/და სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ სამართლებრივ დასკვნებს;</p> <p>4. მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და</p>

		<p>არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, წერიტი და ზეპირი ფორმით;</p> <p>5. ამოცნობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებულ აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემებს, სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და დამოუკიდებლად შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს.</p>
	<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>6. ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული უახლესი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;</p> <p>7. იცავს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტებს, სამართლებრივ ღირებულებებს, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს ან/და პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს კვლევითი ანდა პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისას.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>		<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში მოიცავს შუალედურ (ერთჯერადი ან</p>

მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების კომპონენტები) მოიცავს შეფასების მეთოდებს ანუ სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელ საშუალებას/საშუალებებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდის საზომი ერთეულია შეფასების კრიტერიუმი, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების თითოეულ კომპონენტში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი“-თ განსაზღვრული პირების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

იურიდიული კლინიკაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი აქვს 30 ECTS, საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა (12 ECTS) და საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების (18 ECTS ხარჯზე).

	სამაგისტრო ნაშრომზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი აქვს 80 ECTS, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების (22 ECTS), საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების (18 ECTS), საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების (20 ECTS) და იურიდიული კლინიკის (20 ECTS) ხარჯზე.
დასაქმების სფერო	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შევიდეს მოსამართლის პროფესიაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	წინაპირობები	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება							საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
					I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო				დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები		
					II სემესტრი	III სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული სამუშაო	მუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა			სულ საკონტაქტო	
I	სავალდებულო სასწავლო კურსები			22	12		10									

1.	სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.	ევროკავშირის სამართალი და ქართული სამართლის ევროპეიზაცია	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
3.	კვლევის მეთოდები	სავალდებულო	არ გააჩნია	10			10		13	13	2	2	30	120	150	2
II	ძირითადი სპეციალობის მოდულები			48	18	30										
2.1	საჯარო სამართლის მოდული			48	18	30										
2.1.1.	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები			18	18											
1.	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2	შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
3	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.1.2.	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები			30		30										
1.	ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
2.	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
3.	საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტები	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
4.	სამოხელეო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2

5.	მუნიციპალური სამართალი (ევროპული ქარტია და საქართველო)	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
6.	განათლების სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
7.	სამშენებლო სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
8.	საერთაშორისო საჯარო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
9.	ანტიდისკრიმინაციული სამართალი (ინგლისურ ენაზე)	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
10.	მედია სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
2.2.	კერძო სამართლის მოდული			48	18	30										
2.2.1.	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები			18	18											
1.	შედარებითი კერძო სამართალი	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
3.	სამოქალაქო საპროცესო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.2.2.	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები			30		30										
1.	თანამედროვე შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
2.	კორპორაციული მართვა	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
3.	მტკიცებულებითი სამართალი სამოქალაქო პროცესში	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2

4.	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
5.	მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
6.	კვაზი კონტრაქტები და დელიქტები	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
7.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
8.	შედარებითი სანიეტო სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
9.	საერთაშორისო საარბიტრაჟო სამართალი: თეორია და პრაქტიკა	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
10.	ინვესტიციების დაცვის სამართლებრივი რეჟიმები	არჩევითი	არ გააჩნია	5		5			13	13	2	2	30	95	125	2
2.3.	სისხლის სამართლის მოდული			48	18	30										
2.3.1.	მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები			18	18											
1.	სისხლის სამართლის დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
3.	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	6	6				13	13	2	2	30	120	150	2
2.3.2.	მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები			30		30										

1.	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
2.	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
3.	საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
4.	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
5.	მტკიცებითი სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
6.	საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
7.	ვიქტიმოლოგია	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
8.	სისხლის სამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
9.	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
10.	შედარებითი სისხლის სამართალი	არჩევითი	არ გააჩნია	5	5			13	13	2	2	30	95	125	2
III	პრაქტიკის კომპონენტი			20		20									

1	იურიდიული კლინიკა	სავალდებულო	სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა, ევროკავშირის სამართალი და ქართული სამართლის ევროპეიზაცია, კვლევის მეთოდები სამართალში	20			20		400		1	40 1	99	500	8
IV	სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი			30			30								
1.	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	კვლევის მეთოდები სამართალში, იურიდიული კლინიკა	30			30	13			1	14	736	750	1